

„ურევი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის N590 დადგენილებით დამტკიცებულ გენერალურ გეგმაში და განაშენიანების გეგმაში ცვლილების შეტანის პროექტის

საჯარო განხილვის ოქმი

შეხვედრის დეტალები

შეხვედრის ადგილი

ქალაქი ოზურგეთი მის: კოსტავას ქ. N1

შეხვედრის თარიღი 10/03/2023 წ.

შეხვედრის დაწყების დრო 13:00 სთ.

შეხვედრის დასრულების დრო 14:40 სთ.

ლონისძიების დამგეგმავი ორგანო სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო

დამგეგმავი ორგანოს წარმომადგენლები

სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ბატონი ზურაბ წიკლაური.

სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების და საერთაშორისო პროგრამების დეპარტამენტის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი-კახაბერ ნიაური.

სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს იურიდიული, ნორმატიული და აკადემიური პროგრამების დეპარტამენტის უფროსი ბატონი ირაკლი ჭუმბურიძე.

პროექტის საზოგადოებისთვის გაცნობის მიზნით, პრეზენტაციას უძღვებოდნენ:

საპროექტო ჯგუფის შპს „არტსტუდიო პროექტი“-ს დირექტორი
ირინე სკალვინი

შპს „არტსტუდიო პროექტი“-ს არქიტექტორები:
ანი მამულაშვილი, გიორგი სულაბერიძე.

საჯარო განხილვას ესწრებოდნენ:

სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენლები:

- *სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე - ზურაბ წიკლაური;*
- *სსიპ - სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების და საერთაშორისო პროგრამების დეპარტამენტის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - კახაბერ ნიაური;*
- *სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს იურიდიული, ნორმატიული და აკადემიური პროგრამების დეპარტამენტის უფროსი - ირაკლი ჭუმბურიძე.*

შემსრულებელი კომპანია - შპს „არტსტუდიო პროექტი“-ს წარმომადგენლები - ირინე სკალვინი, ანი მამულაშვილი, გიორგი სულაბერიძე.

განხილვას ასევე ესწრებოდნენ დაინტერესებული პირები და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები.

აღნიშნული ცვლილების პროექტის საჯარო განხილვის საფუძველი:

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 42-ე და 43-ე მუხლები.

განხილვის მიზანი:

- *ცვლილების დოკუმენტის საზოგადოებისთვის და დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა;*
- *საზოგადოების/დაინტერესებული მხარეების მხრიდან, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარმოდგენა;*
- *შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ, საზოგადოების წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების განხილვა;*
- *შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი მხედველობაში მიღება;*

საჯარო განხილვის მსველობა

საჯარო განხილვა დაიწყო დათქმულ დროზე (13:00 სთ). გახსნითი სიტყვა წარმოთქვა: სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ბატონმა ზურაბ წიკლაურმა. მან დამსწრე საზოგადოებას მოკლედ გააცნო „ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის N590 დადგენილებით დამტკიცებულ გენერალურ გეგმაში და განაშენიანების გეგმაში ცვლილების შეტანის მნიშვნელობაზე, რაც ხელს შეუწყობს ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის უკეთ განვითარებას.

გახსნითი სიტყვის შემდეგ ისაუბრეს შემსრულებელი კომპანიის - შპს „არტსტუდიო პროექტი“-ს წარმომადგენლებმა: ირინე სკალვიჩი, ანი მამულაშვილი და გიორგი სულაბერიძემ. მათ საზოგადოებას დეტალურად გააცნეს აღნიშნული ცვლილების საჭიროება და მიზნები, როგორებიცაა: უსისტემო ურბანული განაშენიანებისათვის სივრცითი წესრიგის დამყარება და ასევე სატრანსპორტო-საინჟინრო და საპარკო-საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.

შემაჯამებელი სიტყვა წარმოთქვა სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების და საერთაშორისო პროგრამების დეპარტამენტის წარმომადგენელმა (შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი) კახაბერ ნიაურმა, მან დამსწრე საზოგადოებას განუმარტა ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცედურები, გააცნო შენიშვნების წარმოდგენის ვადები და აღნიშნა თუ როგორი მნიშვნელოვანია საჯარო განხილვის პროცესში მოსახლეობის მაღალი ჩართულობა.

კითხვა-პასუხის რეჟიმი

პრეზენტაციის დასრულების შემდგომ სტრატეგიული დოკუმენტის საჯარო განხილვა გადავიდა ე.წ. კითხვა პასუხის რეჟიმზე. კითხვებს, შენიშვნებს, მოსაზრებებსა და ინიციატივებს წარმოადგენდნენ როგორც სახელმწიფო ორგანოს, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები და საზოგადოების მხრიდან დაინტერესებული პირები.

შეჯამება

საბოლოო სახით შეიძლება ითქვას, რომ დამსწრე საზოგადოებამ აღნიშნული დოკუმენტის მნიშვნელობაზე გაამახვილეს ყურადღება და დადებითად შეაფასეს ცვლილების პროექტით წარმოდგენილ საკითხები.

შეასრულა

თეკლე საკანდელიძე

ოქმის სისწორეს ვადასტურებ

სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი

განვითარების სააგენტოს უფროსის

მოადგილე ბატონი ზურაბ წიკლაური